ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48. 48230122
თარიღი:12/01/2023

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (ქვიტირი, მაღლაკი, გუმბრა, თერნალი) შპს „სოკარ ჯორჯია გაზი"-ს მიერ საშუალო და მაღალი წნევის მიწისქვეშა გაზსადენის (14437.00 გ/მ.) სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 15 აგვისტოს Nბ48.48222271 ბრძანებით გაცემულ სამშენებლო დოკუმენტაციაში ცვლილების შეთანხმების შესახებ

2022 წლის 15 აგვისტოს N10/482235560-48 განცხადებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა შპს „სოკარ ჯორჯია გაზი"-ს დირექციამ და ითხოვა სამშენებლო დოკუმენტში ცვლილების შეტანა, კერძოდ: პროექტის კორექტირების შედეგად მოხდა გაზსადენის მიმართულების შეცვლა (14437.00 გრ.მ დარჩა უცვლელი)

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის თანხმად, ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე16 მუხლის, 54-ე მუხლის I ნაწილის „ე" პუნქტის „ე.თ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 მუხლებისა და საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 93-ე, 94-ე. 95-ე, 96-ე, 97-ე, 98-ე, მე-100, 103-ე, 104-ე, 105-ე და 106-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (ქვიტირი, მაღლაკი, გუმბრა, თერნალი) შპს „სოკარ ჯორჯია გაზი"-ს მიერ საშუალო და მაღალი წნევის მიწისქვეშა გაზსადენის (14437.00 გ/მ.) სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ" 2022 წლის 15 აგვისტოს N ბ48.48222271 ბრძანებით გაცემულ სამშენებლო დოკუმენტში, კერძოდ; გაზსადენის მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის, ზედამხედველობის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურს (სამსახურის უფროსი იასონ გაბუნია)

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2 • 221274546 •

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-შერი

გამოყენებულია კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი